1987

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 8

1987

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

18.586

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (504) აგვისტო 1987 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

207. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

208. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული გარდაქმნის კურსის შესაბამისად ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში დეპუტატთა აქტიურობის გაძლიერების მიზნით ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატთა შეკრებების ჩატარების პრაქტიკის შესახებ.

209. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის თაობაზე.

### განყოფილება მეორე

210. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. ა. ეზუგბაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

211. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. [illegible]. კაკულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

212. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. გ. მარგიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

213. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ი. თევდორაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

214. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. დ. კოზაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

215. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 207 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420; 1985 წ., № 5, მუხ. 157, № 10, მუხ. 370; 1986 წ., № 6, მუხ. 140; 1987 წ., № 6, მუხ. 151, 152) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 106-ე, 107-ე, 112-ე, 113-ე, 128-ე, 130-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 106. რკინიგზის ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა

რკინიგზის ლიანდაგებზე ისეთი საგნების დაწყობა, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ მატარებელთა მოძრაობის დარღვევა, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათ მანეთამდე.

რკინიგზის ლიანდაგის, დამცავი ტყის ნარგავების, თოვლსაფარის და სხვა საგზაო ობიექტების, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის ნაგებობათა და მოწყობილობათა დაზიანება —

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ათ მანეთამდე, თანამდებობის პირთა — ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე.

რკინიგზის ლიანდაგებზე საჰაპანო ტრანსპორტით გავლისა და პირუტყვის გადარეკვის, ლიანდაგების მახლობლად პირუტყვის ძოვების წესების დარღვევა —

გამოიწვევს მოქალაქეთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ათ მანეთამდე, თანამდებობის პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე.

დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს დადგენილი გაბარიტების დაუცველობა —

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე.

რკინიგზის ლიანდაგებზე გავლა ნებადაურთველ ადგილებში —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ხუთ მანეთამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 107. რკინიგზის სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევა

სატვირთო მატარებლით თვითნებური მგზავრობა, მატარებელში სვლის დროს ჩაჯდომა და გადმოსვლა, ვაგონების საფეხურებსა და სახურავებზე მგზავრობა, მატარებლის თვითნებური, საჭიროების გარეშე გაჩერება —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათ მანეთამდე.

სამგზავრო ვაგონის შიდა მოწყობილობის, ლოკომოტივისა და ვაგონის მინის დაზიანება —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათ მანეთამდე.

მატარებლის ვაგონების ფანჯრებიდან და კარებიდან ნაგვისა და სხვა საგნების გადაყრა —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ხუთ მანეთამდე.

საგარეუბნო მატარებლის ვაგონებში (მათ შორის ტამბურებში), ადგილობრივი და შორეული მიმოსვლის სამგზავრო მატარებლებში, აგრეთვე მეტროპოლიტენში ნებადაურთველ ადგილას მოწევა —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ხუთ მანეთამდე".

„მუხლი 112. საზღვაო ტრანსპორტზე მოძრაობის წესების დარღვევა

გემების პორტში შესვლისა და პორტიდან გამოსვლის, საპორტო წყლებში გემების მოძრაობისა და დგომის წესების, აგრეთვე გემში მგზავრთა ჩასხდომის, მგზავრობის და გემიდან გადმოსხდომის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების დარღვევა —

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ათ მანეთამდე, თანამდებობის პირთა — ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე.

საპორტო წყლებში საყვინთი სამუშაოების ჩატარება სათანადო ნებართვის გარეშე, ამ სამუშაოთა დროს სიგნალების მიცემის წესების დაუცველობა —

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე.

მუხლი 113. საზღვაო სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების დარღვევა

საზღვაო ტრანსპორტზე სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის ნაგებობათა და მოწყობილობათა დაზიანება —

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ათ მანეთამდე, თანამდებობის პირთა — ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე.

საზღვაო ტრანსპორტის გემების შიდა მოწყობილობის დაზიანება — გამოიწვევს დაჯარიმებას ათ მანეთამდე.

საზღვაო ტრანსპორტის გემებზე ნებადაურთველ ადგილას მოწევა —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ხუთ მანეთამდე".

„მუხლი 128. რკინიგზის, საზღვაო, საავტომობილო ტრანსპორტით და ელექტროტრანსპორტით საშიშ ნივთიერებათა ან საგანთა გადაზიდვის წესების დარღვევა

რკინიგზის ტრანსპორტით საშიშ ნივთიერებათა ან საგანთა ხელბარგით გადაზიდვის წესების დარღვევა —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ათ მანეთამდე.

საზღვაო ტრანსპორტით საშიშ ნივთიერებათა ან საგანთა გადაზიდვის წესების დარღვევა —

გამოიწვევს მოქალაქეთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ათ მანეთამდე, თანამდებობის პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე.

ავტობუსით, ტროლეიბუსით, ტრამვაით, სამარშრუტო ტაქსით საშიშ ნივთიერებათა ან საგანთა გადატანა, აგრეთვე მათი ბარგად ან შემნახველ საკანში ჩაბარება —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ათ მანეთამდე.

იმ საშიშ ნივთიერებათა ან საგანთა ნუსხა, რომელთა გადაზიდვის წესების დარღვევისათვის ამ მუხლით დაწესებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, განისაზღვრება შესაბამის სახეობათა ტრანსპორტზე მოქმედი გადაზიდვის წესებით".

„მუხლი 130. უბილეთო მგზავრობა

მგზავრების უბილეთო გაფრენა —

გამოიწვევს დაჯარიმებას ოც მანეთამდე.

მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა:

1) საგარეუბნო მატარებლით —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთი მანეთით;

2) ადგილობრივი და შორეული მიმოსვლის მატარებლით —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათი მანეთით;

3) საგარეუბნო საზღვაო ტრანსპორტის გემით —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთი მანეთით;

4) ადგილობრივი და შორეული მიმოსვლის საზღვაო ტრანსპორტის გემით —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათი მანეთით.

ხუთიდან ათი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა:

1) საგარეუბნო მატარებლით —

გამოიწვევს დაჯარიმებას ორი მანეთით;

2) ადგილობრივი და შორეული მიმოსვლის მატარებლით —

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი მანეთით;

3) საგარეუბნო საზღვაო ტრანსპორტის გემით —

გამოიწვევს დაჯარიმებას ორი მანეთით;

4) ადგილობრივი და შორეული მიმოსვლის საზღვაო ტრანსპორტის გემით —

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი მანეთით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა:

1) ტროლეიბუსით, ტრამვაით, საქალაქო მიმოსვლის ავტობუსით ან სამარშრუტო ტაქსით —

გამოიწვევს დაჯარიმებას ორი მანეთით;

2) საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მიმოსვლის ავტობუსით —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთი მანეთით.

ხუთიდან ათი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა:

1) ტროლეიბუსით, ტრამვაით, საქალაქო მიმოსვლის ავტობუსით ან სამარშრუტო ტაქსით —

გამოიწვევს დაჯარიმებას ერთი მანეთით;

2) საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მიმოსვლის ავტობუსით —

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი მანეთით".

2. 44-ე მუხლის პირველ ნაწილში და 115-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ოცდაათ მანეთამდე" შეიცვალოს სიტყვებით „ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე".

3. 109-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„იმ საშიშ ნივთიერებათა ან საგანთა ნუსხა, რომელთა გადაზიდვის წესების დარღვევისათვის ამ მუხლით დაწესებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, განისაზღვრება საჰაერო ტრანსპორტზე მოქმედი გადაზიდვის წესებით".

4. 118-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების მიერ რკინიგზის გადასასვლელების გავლის წესების დარღვევა (გადასასვლელზე შესვლა, როცა შლაგბაუმი დაკეტილია ან იწყებს დაკეტვას, შლაგბაუმის თვითნებურად გაღება ან მისთვის გვერდის აქცევა, რკინიგზის ლიანდაგის გადაკვეთა ნებადაურთველ ადგილებში და სხვა დარღვევები)".

5. 129-ე მუხლის სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 129. დაწესებულ ნორმაზე ზევით ხელბარგისა და ფასგადაუხდელი ბარგის გადაზიდვა

რკინიგზისა და საზღვაო ტრანსპორტით დაწესებულ ნორმაზე ზევით ხელბარგის გადაზიდვა —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთი მანეთით".

6. 205-ე მუხლის პირველ ნაწილს ციფრების „103-105[1] მუხლებით" შემდეგ დაემატოს სიტყვები „108-ე მუხლის პირველი, მესამე და მეოთხე ნაწილებით (სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს არაქვემდებარე აეროდრომებზე ან ასეთი აეროდრომების რაიონში ჩადენილი დარღვევებისათვის)".

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. 209-ე მუხლის:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შინაგან საქმეთა ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 45-ე მუხლით, 106-ე მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეხუთე ნაწილებით, 107-109-ე მუხლებით, 113-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 116-126-ე მუხლებით, 127-ე მუხლით (მძღოლების მიერ სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების შესახებ), 128-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 129-ე მუხლით, 130-ე მუხლის პირველი ნაწილით, 131-ე მუხლით (გარდა საავტომობილო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისა), 132-ე, 133-ე, 161-ე, 163-ე, 166-ე, 168-ე მუხლებით, 171-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით, 172-ე მუხლის მეორე ნაწილით, 185-191-ე მუხლებით“;

მეორე ნაწილის პირველ პუნქტში სიტყვები „ამ კოდექსის 45-ე, 106-111-ე, 128-130-ე მუხლებით“ შეიცვალოს სიტყვებით „ამ კოდექსის 45-ე მუხლით“;

აღნიშნულ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე და მეოთხე აბზაცები:

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 106-ე მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეხუთე ნაწილებით, 107-109-ე მუხლებით, 113-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 128-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 130-ე მუხლის პირველი ნაწილით, — შინაგან საქმეთა ორგანოს (მილიციის) უფროსს და მის მოადგილეს, მილიციის სახაზო პუნქტის უფროსს. ამ კოდექსის 106-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, 107-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებით, 113-ე მუხლის მეორე ნაწილით, 130-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჯარიმა გადახდებათ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მასზე დაკისრებულ ადმინისტრაციულ სახდელს. მილიციის სახაზო პუნქტის უფროსის მიერ დადებული ჯარიმის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ოც მანეთს;

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 106-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, 107-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებით, — მილიციის სხვა მუშაკებს, რომელთაც ეკისრებათ ზედამხედველობა შესაბამისი წესების დაცვაზე, ამასთან ჯარიმა გადახდებათ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მასზე დაკისრებულ ადმინისტრაციულ სახდელს“.

8. 211-ე მუხლის:

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რკინიგზის ტრანსპორტის ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურის უფროსს და მის მოადგილეს, ვაგზლის უფროსს და მის მოადგილეს, სალოკომოტივო (სავაგონო) დეპოს უფროსს, სამგზავრო მატარებლის უფროსს (სამგზავრო მატარებლის მექანიკოს-ბრიგადირს);

სამგზავრო მატარებლის კონტროლიორ-რევიზორს, სამგზავრო მატარებლის რევიზორ-ინსტრუქტორს, შემოსავლის კონტროლის რევიზორს, გზის ოსტატს, გზის დისტანციის უფროსს, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსს;

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს გასამხედროებული დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსს და მის მოადგილეს; რკინიგზის, მეტროპოლიტენის გასამხედროებული დაცვის განყოფილების (რაზმის, სახანძრო მატარებლის) უფროსს და მის მოადგილეს, ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკის უფროს ინსტრუქტორს და ინსტრუქტორს, რაზმის, სახანძრო მატარებლის ქვეგანყოფილების (ყარაულის) უფროსს;

რკინიგზის ტრანსპორტის მთავარ სანიტარიულ ექიმს და მის მოადგილეს, რკინიგზის მთავარ სანიტარიულ ექიმს და მის მოადგილეს, მეტროპოლიტენის მთავარ სანიტარიულ ექიმს, რკინიგზის ქვეგანყოფილების მთავარ სანიტარიულ ექიმს, სახაზო უბნის მთავარ სანიტარიულ ექიმს";

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მესამე და მეოთხე ნაწილები:

„სამგზავრო მატარებლის უფროსის (სამგზავრო მატარებლის მექანიკოს-ბრიგადირის), გზის ოსტატის, რკინიგზის, მეტროპოლიტენის გასამხედროებული დაცვის რაზმის, სახანძრო მატარებლის ქვეგანყოფილების (ყარაულის) უფროსის, რკინიგზის მთავარი სანიტარიული ექიმის და მისი მოადგილის, მეტროპოლიტენის მთავარი სანიტარიული ექიმის, რკინიგზის ქვეგანყოფილების მთავარი სანიტარიული ექიმის, სახაზო უბნის მთავარი სანიტარიული ექიმის მიერ დადებული ჯარიმის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ოც მანეთს.

ამ მუხლში დასახელებულ თანამდებობის პირებს უფლება აქვთ 106-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, 107-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებით, 129-ე მუხლის პირველი ნაწილით (რკინიგზის ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის), 130-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით (რკინიგზის ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის) გათვალისწინებული ჯარიმა გადაახდევინონ სამართალდამრღვევს ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მასზე დაკისრებულ ადმინისტრაციულ სახდელს".

9. 212-ე მუხლის:

პირველ ნაწილში სიტყვები „128-ე მუხლის პირველი ნაწილით"

შეიცვალოს სიტყვებით „128-ე მუხლის მეორე ნაწილით";

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საზღვაო ტრანსპორტის ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტის კაპიტანს და მის მოადგილეს, ცვლის უფროსს, უფროს კაპიტანს და საპორტო ზედამხედველობის კაპიტანს, საზღვაო ვაგზლის უფროსს და მის მოადგილეს, გემის კაპიტანს;

რაზმის უფროსს და მის მოადგილეს, ცალკეული რაზმის უფროსს, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს გასამხედროებული დაცვის რაზმის, ცალკეული რაზმის ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკის უფროს ინსტრუქტორს და ინსტრუქტორს";

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მესამე და მეოთხე ნაწილები:

„ცვლის უფროსის, უფროსი კაპიტნის და საპორტო ზედამხედველობის კაპიტნის მიერ დადებული ჯარიმის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ოც მანეთს;

ამ მუხლში დასახელებულ თანამდებობის პირებს უფლება აქვთ 113-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 129-ე მუხლის პირველი ნაწილით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის) და 130-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის) გათვალისწინებული ჯარიმა გადაახდევინონ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მასზე დაკისრებულ ადმინისტრაციულ სახდელს".

10. 213-ე მუხლის:

პირველ ნაწილში სიტყვები „108-111-ე მუხლებით" შეიცვალოს სიტყვებით „108-ე მუხლით (გარდა პირველი, მესამე, მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებული დარღვევებისა, რომლებიც ჩადენილია სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს არაქვემდებარე აეროდრომებზე ან ასეთი აეროდრომების რაიონში), 109-111-ე მუხლებით";

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საჰაერო ტრანსპორტის ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ:

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეს, გაერთიანებული ავიარაზმის (გაერთიანებული ავიაესკადრილიის) მეთაურს და მის მოადგილეს, აეროპორტის უფროსს და მის მოადგილეს, ავიასაწარმოს (აეროპორტის) გადაზიდვის ორგანიზაციის სამსახურის უფროსს, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს მთავარი ინსპექციის (ფრენის უსაფრთხოების ხაზით) უფროსს, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ინსპექციის (ფრენის უსაფრთხოების ხაზით) უფროსს, საჰაერო ხომალდის მეთაურს;

სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეს, ამ სამმართველოს განყოფილების უფროსს, მთავარ რევიზორს, უფროს რევიზორს, რევიზორს; საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროსს და მის მოადგილეს, ამ განყოფილების უფროს რევიზორს, კომერციულ რევიზორს, რევიზორს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური განყოფილების უფროსს, ცენტრალური სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარ სანიტარიულ ექიმს, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარ ექიმს;

ავიასაწარმოს (აეროპორტის) გასამხედროებული დაცვის რაზმისა და ცალკეული რაზმის უფროსს";

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილები:

„ამ კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებულ დარღვევათა საქმეებს განიხილავენ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროსი რევიზორის, კომერციული რევიზორის, რევიზორის, ავიასაწარმოს (აეროპორტის) გადაზიდვის ორგანიზაციის სამსახურის უფროსის, სამოქალაქო ავიაციის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარი ექიმის, ავიასაწარმოს (აეროპორტის) გასამხედროებული დაცვის ცალკეული რაზმის უფროსის მიერ დადებული ჯარიმის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ოც მანეთს.

ამ მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში დასახელებულ თანამდებობის პირებს უფლება აქვთ 130-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმა გადაახდევინონ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მასზე დაკისრებულ ადმინისტრაციულ სახდელს".

11. 214-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „128-ე მუხლის მეორე ნაწილით" შეიცვალოს სიტყვებით „128-ე მუხლის მესამე ნაწილით".

12. 221-ე მუხლის:

პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „გარდა რკინიგზის ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისა";

მეორე ნაწილის პირველ პუნქტს სიტყვების „ორმოცდაათ მანეთამდე" შემდეგ დაემატოს სიტყვები „ხოლო ამ წესების საჰაერო ტრანსპორტზე დარღვევისათვის — მოქალაქეთა დაჯარიმებისა ოცდაათ მანეთამდე, თანამდებობის პირთა — ორმოცდაათ მანეთამდე";

ამავე პუნქტს სიტყვების „ოცდაათ მანეთამდე" შემდეგ დაემატოს სიტყვები „ხოლო მითითებული წესების საჰაერო ტრანსპორტზე დარღვევისათვის — მოქალაქეთა დაჯარიმებისა ოც მანეთამდე, თანამდებობის პირთა — ოცდაათ მანეთამდე".

13. 242-ე მუხლში ციფრები და სიტყვები „106-110-ე", „128-130-ე მუხლებით" შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „106-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, 107-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებით, 113-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით", „128-ე მუხლის მესამე ნაწილით, 129-ე და 130-ე მუხლებით".

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. 269-ე მუხლს ციფრების „50-ე“ და „126-ე“ შემდეგ დაემატოს შესაბამისად ციფრები და სიტყვები „106-113-ე, 115-ე“, „მუხლებით, 128-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 129-ე მუხლის პირველი ნაწილით, 130-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 3 აგვისტო.
№ 1370—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 208 სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული გარდაქმნის კურსის შესაბამისად ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში დეპუტატთა აქტიურობის გაძლიერების მიზნით ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატთა შეკრებების ჩატარების პრაქტიკის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა სახალხო დეპუტატთა გორის საქალაქო, ბოლნისის, გორის, სიღნაღის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა ამხ. ამხ. ზ. ნამიჭეიშვილის, შ. ყულიევის, რ. ჯავახიშვილის, ც. ნადაშვილის, ადიგენის და თელავის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეების ამხ. ამხ. ს. ხუგაევას და ფ. ნაცვლიშვილის ინფორმაციები, აღნიშნავს, რომ მათ მიერ ჩატარებული ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატთა შეკრებები მიზნად ისახავდა გარდაქმნის სულისკვეთების შესაბამისად დემოკრატიზმის გაღრმავების, საჯაროობის გაფართოების, ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულების უზრუნველყოფაში დეპუტატთა აქტიურობის ამაღლებას, მათს წინაშე საქმიანობის კონკრეტული ამოცანების დასახვას. ანალოგიური შეკრებები გაიმართა აგრეთვე დუშეთისა და ვანის რაიონებში.

შეკრებებზე დეპუტატებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, დეპუტატთა და საზოგადოებრივი ფორმირებების როლსა და მნიშვნელობას, მათი საქმიანობის ფორმებსა და მეთოდებს, რაიონული რგოლის სამსახურების, აგრეთვე სამართალდამცველი ორგანოების მუშაობის სპეციფიკას.

ცალკეულმა დეპუტატებმა შეკრებებზე გამოთქვეს კრიტიკული შენიშვნები, რომელთა უმრავლესობა შეეხებოდა სოფლად მოსახლეობის მომსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. საბჭოების აღმასკომებისა და მათი სამსახურების წინაშე დააყენეს მთელი რიგი წინადადებები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად სათანადო ზომების მიღებისათვის.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატთა შეკრებების ჩატარების პრაქტიკა მოითხოვს შემდგომ სრულყოფას, პირველ რიგში იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა თავიდან ავიცილოთ პარადულობის, ზერელობისა და ფორმალიზმის ელემენტები. შეკრებებმა ცხადყო, რომ აღმასკომების ზოგიერთი სამსახურის ხელმძღვანელთა ნაჩქარევად შედგენილი მოხსენებები მოკლებული იყო მიზანმიმართულობას და კონკრეტულობას, ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ დეპუტატების ერთმა ნაწილმა ვერც კი გაიგო მათ წინაშე დასახული ამოცანების არსი. აღსანიშნავია, რომ ყველა საბჭოს აღმასკომი ერთნაირი პასუხისმგებლობით არ მოეკიდა ამ სერიოზული ღონისძიების მომზადებასა და ჩატარებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ძირითადად მოწონებულ იქნეს ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატთა შეკრებების ჩატარების პრაქტიკა, როგორც მათი სწავლებისა და რაიონული რგოლის სამსახურების ხელმძღვანელებთან კონტაქტების დამყარების ერთ-ერთი ფორმა.

2. რჩევა მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ამ დადგენილებაში აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით მიმდინარე წლის ბოლომდე ჩაატარონ ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატთა რაიონული და საქალაქო შეკრებები.

3. დაევალოთ სახალხო დეპუტატთა გორის საქალაქო, ადიგენის, ბოლნისის, გორის, დუშეთის, ვანის, თელავის, სიღნაღის რაიონული საბჭოების აღმასკომებს ორი კვირის ვადაში განიხილონ დეპუტატთა შეკრებების შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი; ამასთან მიიღონ სათანადო ზომები მათ მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე ოპერატიული რეაგირებისათვის.

4. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ იმ რაიონებში, სადაც ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატთა ერთად შეკრება შეუძლებელია სათანადო სხდომათა დარბაზის უქონლობის გამო, შეკრება ჩატარდეს ორ-სამ ტურად იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს უკლებლივ ყველა დეპუტატის მონაწილეობა.

5. სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა განაზოგადონ დეპუტატთა აქტიურობის ასამაღლებლად გაწეული მუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობა და ინფორმაცია წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1988 წლის 1 თებერვლამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 აგვისტო.
№ 1384—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 209 „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. მ. ზურაბაშვილის ინფორმაცია „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე, აღნიშნავს, რომ რაიონის ადგილობრივი საბჭოების ყოველდღიური ორგანიზატორული საქმიანობა სერიოზული ნაკლოვანებებითა და ხარვეზებით ხასიათდება. ისინი საჭირო კოორდინაციას არ უწევენ ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრიობის მუშაობას დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის, არ აკონტროლებენ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, საჭირო მუშაობას არ ეწევიან მოქმედი კანონმდებლობის განმარტებისა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდისათვის.

დანაშაულობათა შემცირების ტენდენციის მიუხედავად ოპერატიული მდგომარეობა რაიონში კვლავ რთულია.

ასე მაგალითად, 1987 წლის პირველ ნახევარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაიზარდა ისეთ დანაშაულობათა რიცხვი, როგორიცაა გაუპატიურება და გაუპატიურების მცდელობა, ხულიგნობა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, სპეკულაცია და ა. შ.

ასეთი დანაშაულობანი ძირითადად აღინიშნება ლაგოდეხის საქალაქო, კაბლის, შრომის, ფონის, აფენის და არეშფერანის სასოფლო საბჭოების ტერიტორიებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დანაშაული ლოთობისა და ალკოჰოლიზმის ნიადაგზე ხდება, ადგილობრივი საბჭოები, ადმინისტრაციული ორგანოები, შრომითი კოლექტივები და საზოგადოებრივი ფორმირებები უკომპრომისო ბრძოლას არ აწარმოებენ ამ სოციალურ ბოროტებასთან.

გამკაცრებას მოითხოვს ბრძოლა მეზობლური და ოჯახური კონფლიქტების, მუქთახორობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სავაჭრო სფეროში დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სოციალისტური საკუთრების ჯეროვანი დაცვა სახალხო მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან ობიექტებზე, როგორიცაა ლაგოდეხის რძის, აფენისა და ბაისუბნის ღვინის, ვარდისუბნის საკონსერვო ქარხნები, პურკომბინატი, ცენტრალური რაიუნივერმაღი, მაღაზია „ბავშვთა სამყარო" და სხვ.

რაიონში არ არის აღმოფხვრილი მიწერების, თვალის ახვევის, შრომის, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტები.

მარტო 1986 წელს მიწერებისა და თვალის ახვევისათვის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა სხვადასხვა სახის სასჯელი დაადო 18 თანამდებობის პირს.

ასეთი დარღვევები იყო სახალხო მეურნეობის 13 ობიექტზე, მათ შორის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში, სოფლების ნინიგორის, ულიანოვკის, კაბლის, ცოდნისკარის კოლმეურნეობებში და სხვაგან.

ადგილობრივი საბჭოები, კოლმეურნეობათა გამგეობები და ადმინისტრაციული ორგანოები ყოველთვის არ ავლენენ და გადაჭრით არ აღკვეთენ მიწათსარგებლობის წესების დარღვევათა ფაქტებს, რომლებსაც ადგილი აქვთ ჭაბუკიანის, აფენის, კაბლის, ყარსუბნის, ცოდნისკარისა და სხვა კოლმეურნეობებში.

რაიონის ზოგიერთ საწარმოსა და მეურნეობაში უხეშად ირღვევა შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები, რაც მორალურ და მატერიალურ ზიანს აყენებს მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

საგულისხმოა, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ხშირად არ იღებენ კანონით გათვალისწინებულ ზომებს იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ შრომის კანონმდებლობის ნორმებს.

რაიონში ხშირია მოქალაქეთა კანონიერი თხოვნისა და დასაბუთებული განცხადებებისადმი უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულების, მიცემულ დაპირებათა შეუსრულებლობის შემთხვევები, რაც აიძულებს განმცხადებლებს მიმართონ სხვადასხვა ზემდგომ ორგანოს.

ასე მაგალითად, 1986 წელს რაისაბჭოს აღმასკომში შესრულდა 679 წერილი და განცხადება, აქედან მარტო ლაგოდეხიდან — 337, დიდი რაოდენობითაა წერილები კაბლის, აფენის, ცოდნისკარის სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლებიდან.

დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლასა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში სუსტად გამოიყენება საზოგადოებრივ ფორმირებათა, განსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთრებით წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების, შესაძლებლობანი, რომლებიც უმრავლეს ადგილობრივ საბჭოში შექმნილიც კი არ არის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოეთხოვოს ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოსა და მის აღმასკომს უმოკლეს დროში აღმოფხვრან ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებები, განუხრელად შეასრულონ „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ყველა მოთხოვნა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 აგვისტო.
№ 1388—XI

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 210 ამხ. ე. ა. ეზუგბაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის საქმეთა მმართველი ამხ. ემირ ალექსის ძე ეზუგბაია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 11 აგვისტო.
№ 1373—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 211 ამხ. ა. ი. კაკულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ, სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის" თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ალკაზარ ირაკლის ძე **კაკულია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 11 აგვისტო.
№ 1372—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 212 ამხ. ი. გ. მარგიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლად საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის ობიექტების დაპროექტებაში მიღწეული წარმატებებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საპროექტო ინსტიტუტ „საქსახსოფლმშენის" არქიტექტურული სახელოსნოს უფროსი ამხ. ირაკლი გიორგის ძე **მარგიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 11 აგვისტო.
№ 1375—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 213 ამხ. მ. ი. თევდორაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო კომიტეტის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე — რემონტისა და ტექმომსახურების სამმართველოს უფროსი ამხ. მიხეილ ივანეს ძე **თევდორაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 13 აგვისტო.
№ 1376—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 214 ამხ. ვ. დ. კოზაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მემცენარეობის პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ვლადიმერ დიმიტრის ძე **კოზაევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 14 აგვისტო.
№ 1377—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 215 „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის"** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

სოფიო გრიგოლის ასულ **გოცირიძეს** — ცეკავშირის თბილისის კოოპერატიული ტექნიკუმის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ პარმენის ასულ **ჩაჩუას** — ცეკავშირის თბილისის კოოპერაციულ ტექნიკუმის აღმზრდელ-მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 11 აგვისტო.
№ 1374—XI

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

1987 წლის 27 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. სხდომაზე დამტკიცდა ღონისძიებათა გეგმა „პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა შესაბამისად საბინაო მშენებლობის განვითარების, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს VI სესიის დადგენილების შესასრულებლად. მიღებულ იქნა ცნობად „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების შედეგების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი და დადგინდა, რომ აღნიშნული ბარათი დაეგზავნოთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განსახილველად და მასში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის სათანადო ზომების მისაღებად.

პრეზიდიუმის სხდომამ ძირითადად მოიწონა სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული სემინარ-ლექტორიუმების 1987-1988 სასწავლო წლის მეცადინეობის სანიმუშო თემატიკა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საბჭოთა ორგანოების განყოფილებასთან ერთად დაავალა პერიოდულად შეისწავლოს და განაზოგადოს სემინარ-ლექტორიუმებში მეცადინეობის მიმდინარეობა და მეთოდური და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს მეცადინეობის მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში. იმსჯელა რა „საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში შრომის მორალური სტიმული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების მდგომარეობის შესახებ“ პრეზიდიუმის დაჯილდოების განყოფილების მოხსენებითი ბარათის თაობაზე, სხდომამ გადაწყვიტა ბარათი სათანადო რეაგირებისათვის დაეგზავნოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს.

* * *

მოისმინა რა მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ზ. იმანოვას ინფორმაცია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საქალაქო საბჭო, მისი აღმასკომი, დეპუტატთა და საზოგადოებრივი ფორმირებები ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩაებნენ მუშაობაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად.

ამ დიდმნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის საბჭოთა ხალხისადმი მიმართვის შრომითს კოლექტივებში განხილვისას 26 საწარმოო ბრიგადამ, აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციათა 1200 მშრომელმა ივალდებულეს 1987 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულონ მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის დავალებები.

მოზარდი თაობის პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდის საქმეს ემსახურება მეგობრობის კლუბები, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, გამოფენები და ა. შ. ხალხთა მეგობრობის ნათელი დადასტურებაა მარნეულელების მიერ სტიქიისაგან დაზარალებული მესტიის რაიონის მცხოვრებთათვის ძმური დახმარების აღმოჩენა.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად საჭიროა შემუშავდეს საქმიანობის კონკრეტული პროგრამა ოქტომბრის იუბილეს ღირსეულად შესახვედრად.

ქალაქის მრეწველობაში ნელა ინერგება მეურნეობრიობის ახალი ფორმები და მეთოდები, სამეურნეო ანგარიში, თვითდაფინანსება, მთლიანად არ გამოიყენება საწარმოო და შრომითი პოტენციალი. სამრეწველო საწარმოებში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენე-

№ 8
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელს ჩამორჩება 8,2 პროცენტით. 20-დან 11 საწარმოში არ დაუწყიათ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება. არასაკმარისი აქტიურობით მიმდინარეობს მუშაობა საწარმოთა სამრეწველო პროდუქციის სახელმწიფო მიღებასა და მრავალცვლიან სამუშაოზე გადასაყვანად.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი, დეპუტატთა და საზოგადოებრივი ფორმირებანი, ადმინისტრაციული ორგანოები უკომპრომისო ბრძოლას არ ეწევიან სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, ამიტომ ოპერატიული ვითარება ქალაქში რთულია, კვლავ ადგილი აქვს მკვლელობის, გაუპატიურების, ავტომანქანების გატაცების, პირადი ქონების ქურდობის შემთხვევებს. ადგილი აქვს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვის, ნარკოტიკების და სპირტიანი სასმელების გაყიდვის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, მუქთახორობისა და ხულიგნობის, სხვა ნეგატიური მოვლენების ფაქტებს, რაც იმის შედეგია, რომ დანაშაულობასთან ბრძოლაში არ არის ჩაბმული ფართო საზოგადოებრიობა.

საბჭოს აღმასკომი ნაკლებად ზრუნავს მარნეულელებში მშობლიური ქალაქისადმი სიყვარულის გრძნობის ჩანერგვაზე, არ იზიდავს მათ საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის, მართლწესრიგის დაცვისათვის მოძრაობაში. მოსახლეობაში სხვისი მოიმედეობის განწყობილება ნელა აღმოიფხვრება.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა საჭიროებს შემდგომ სრულყოფას. სესიები საბჭოების საქმიანობაში ჯერ კიდევ ვერ გადაიქცნენ პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის მნიშვნელოვან ფაქტორად; მიღებული გადაწყვეტილებანი ყოველთვის არ გამოირჩევა მიზანმიმართულობითა და კონკრეტულობით. არასაკმარისი კონტროლის შედეგად ზოგიერთი დასახული ღონისძიება ვერ ხორციელდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალება მისცა სახალხო დეპუტატთა მარნეულის საქალაქო საბჭოს, მის აღმასკომს აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს.

* *

*

სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაკთა ატესტაციის შედეგების შესახებ, რომელიც ჩატარდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.

აღინიშნა, რომ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა „საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპა-

რატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის შემოღების შესახებ მდგომი ორგანოების დადგენილებათა შესასრულებლად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაკთა ატესტაცია მიმდინარეობდა სათანადო ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, ობიექტურობის, მომთხოვნელობის, კეთილმოსურნეობის ვითარებაში, რაც გამორიცხავდა სუბიექტივიზმის გამოვლინებებს.

რესპუბლიკური და ადგილობრივი საატესტაციო კომისიების მუშაობა მიმდინარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 4 მაისის დადგენილებით დამტკიცებული „საბჭოთა ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ" დებულების სრული შესაბამისობით. ატესტაციის ჩატარებას წინ უძღოდა საჭირო მოსამზადებელი მუშაობა.

ატესტაცია გაიარა სულ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების აპარატის 2929 მუშაკმა და განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელმა, რომლებიც შესაბამისი საბჭოების პირველ სესიებზე უნდა დამტკიცებულიყვნენ, მათ შორის სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების 71 თავმჯდომარემ, 113 თავმჯდომარის მოადგილემ, 55 აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ, 51 საგეგმო კომისიისა და ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების თავმჯდომარემ, რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომის 79 მდივანმა; ადგილობრივი საბჭოების განყოფილებათა და სამმართველოთა 856 ხელმძღვანელმა, სადაბო, სასოფლო, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასკომების 1674 მუშაკმა.

„საბჭოთა ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად სხვადასხვა მიზეზით ატესტაცია არ გაიარა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების 677 მუშაკმა და მათი განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელმა.

ატესტაციაგავლილ მუშაკთა უმრავლესობამ გამოავლინა მაღალი პოლიტიკური მომზადება, საქმიანი კვალიფიკაცია და კომპეტენტურობა, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების ღრმა ცოდნა, რის შედეგადაც ისინი რეგიონების კომპლექსურ-ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში აღწევენ დადებით შედეგებს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სახალხო დეპუტატთა ფოთისა და ტყიბულის საქალაქო, ახალციხის, ბოგდანოვკის, გურჯაანის, კასპის, მახარაძის, სამტრედიის, წალენჯიხის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდო-

მარეებმა, ადიგენის, გარდაბნის, ზუგდიდის, ქარელის, თეთრი წყაროს, წალენჯიხის რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ასპინძისა და გორის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეებმა, ზუგდიდის, რუსთავის და მარნეულის საქალაქო, ახალციხის, ბორჯომის, ზუგდიდის, თერჯოლის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს, ხობის რაიონების საგეგმო კომისიების თავმჯდომარეებმა, ზუგდიდის, მარნეულის, წყალტუბოს საქალაქო, ბოლნისის, ზესტაფონის, ლაგოდეხის, მარნეულის, თელავის, თერჯოლის რაიონული საბჭოების აღმასკომების მდივნებმა.

ამასთან ერთად ატესტაციის პროცესში ნათლად გამოვლინდა ცალკეული მუშაკებისა და მთლიანად ადგილობრივი საბჭოების აპარატების მუშაობაში, მინდობილი საქმისათვის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებასა და ინიციატივის, შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, ხარვეზები კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში.

ატესტაციის შედეგად ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების 359 მუშაკი ცნობილ იქნა დაკავებული თანამდებობის შესაფერისად იმ პირობით, რომ გააუმჯობესებს მუშაობას, შეასრულებს კომისიის რეკომენდაციებს და ერთი წლის შემდეგ ხელმეორედ გაივლის ატესტაციას.

შეფასება „არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას“ მიიღო 66 მუშაკმა, მათ შორის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ხუთმა მოადგილემ (ბათუმის საქალაქო, ქ. თბილისის კიროვის, ქედის, ქობულეთის, ხელვაჩაურის რაისაბჭოების აღმასკომები), საგეგმო კომისიის ორმა თავმჯდომარემ (ქ. თბილისის კიროვის, ხელვაჩაურის რაისაბჭოების აღმასკომები), ორმა განყოფილებისა და სამმართველოს ხელმძღვანელმა (შუახევისა და ქობულეთის რაისაბჭოების აღმასკომები), სადაბო, სასოფლო, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოების აღმასკომების 25 თავმჯდომარემ და 32 მდივანმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ცნობად, რომ მოხსენებითი ბარათები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაკთა ატესტაციის შედეგების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სათანადო დავალებით დაეგზავნათ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ:

ატესტაციის შედეგები განიხილონ შესაბამისი საბჭოების მორიგ სესიებზე, დასახონ ღონისძიებანი ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის პროცესში გამოვლენილ ნაკლოვანებათა

აღმოსაფხვრელად და სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად მათი საქმიანობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის;

დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის გარდაქმნის შემდგომი დაჩქარების, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, გადაჭრით აღმოფხვრან მართვის ადმინისტრაციული მეთოდების პრაქტიკა, ნაცვლად დანერგონ ეკონომიკური მეთოდები, განამტკიცონ საშემსრულებლო დისციპლინა მართვის ყველა რგოლში; გააძლიერონ მინდობილი საქმისათვის თითოეული მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის № 876 დადგენილების მოთხოვნათა განუხრელ შესრულებას;

მეტი ყურადღება დაუთმონ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებას; აამაღლონ ყველა აღმასკომის აპარატის მუშაობის კულტურა, გააუმჯობესონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა; გაუწიონ მათ პრაქტიკული დახმარება არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში; მიიღონ საჭირო ზომები კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა მეტი უკუგებით განხორციელებისათვის;

საბჭოთა ორგანოების კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმის გაუმჯობესებისათვის საატესტაციო კომისიის რეკომენდაციებისა და წინადადებების სარეალიზაციოდ შეიმუშაონ და დაამტკიცონ კონკრეტული გეგმა, ამასთან უნარიანად გააერთიანონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყველა რგოლის ღონისძიებანი რეგიონების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანათა წარმატებით გადასაწყვეტად;

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ აღმასკომების აპარატის იმ მუშაკებს, რომელთაც დაენიშნათ განმეორებითი ატესტაცია ერთი წლის შემდეგ; პრაქტიკაში შემოიღონ საატესტაციო კომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად მათი ანგარიშებისა და ინფორმაციების მოსმენა, გაუწიონ პრაქტიკული დახმარება მუშაობის გაუმჯობესებაში;

შეისწავლონ ეკონომიკური და სოციალური განვითარებისადმი ხელმძღვანელობის, შრომის, საშემსრულებლო, სახელმწიფო დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის მოწინავე გამოცდილება და დანერგონ იგი თავიანთი საქმიანობის პრაქტიკაში;

სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა შესაბამისად შეიმუშაონ საბჭოთა კადრების სწავლების მწყობრი სისტემა; ამასთან გაითვალისწინონ ეკონომიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართვის ძირეული გარდაქმნის, რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის პარტიის მიერ დასახული ამოცანები;

განუვითარონ აპარატის მუშაკებს დასახული მიზნების მისაღწევად პასუხისმგებლობის, პრინციპულობისა და გაბედულობის მაღალი გრძნობა. ყოველნაირად გააფართოონ საჯაროობა, მართვის დემოკრატიზაცია მიმდინარე გარდაქმნაში ყოველი მშრომელისათვის მისი სასიცოცხლო ინტერესების განმარტების გზით, მიაღწიონ სოციალური სფეროსა და ეკონომიკის აღმავლობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებასა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ორგანიზაციულ-საბჭოთა მუშაობის განყოფილებას დაევალათ სისტემატური პრაქტიკული დახმარება გაუწიონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებსა და მათ აღმასკომებს მუშაობის ძირეულად გარდაქმნაში, საბჭოთა მშენებლობის შეძენილი დადებითი გამოცდილების შესწავლა-გავრცელებაში, შეიტანონ წინადადებანი ატესტაციის მსვლელობაში გამოთქმულ წინადადებებსა და რეკომენდაციებში დაყენებული საკითხების გადასაწყვეტად.

სხდომაზე მიღებულ იქნა ცნობად, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მეორე რესპუბლიკური კრება, რომელზეც სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, აგრეთვე კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის საბჭოების როლის ამაღლებისა და პასუხისმგებლობის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებანი. ასევე მიზანშეწონილად მიჩნეულ იქნა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის, მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომწიფებული აქტუალური პრობლემების განხილვა-გადაწყვეტის საკითხებზე სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა ყოველკვარტალური თათბირ-სემინარების ჩატარება; მათი ორგანიზაცია დაეკისრათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ორგანიზაციულ-საბჭოთა მუშაობის განყოფილებასა და დარგობრივ განყოფილებებს.

რესპუბლიკურ და ადგილობრივ საატესტაციო კომისიებს რეკომენდაცია მიეცათ განაგრძონ მუშაობა დებულების შესაბამისად ატესტაციის ვადის დადგომის კვალობაზე საბჭოთა ორგანოების მუშაკთა, აგრეთვე განმეორებით ატესტაციაგასავლელ მუშაკთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების იმ პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციისათვის, რომელთა ატესტაცია უნდა დამთავრდეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღიდან 6 თვის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადო დავალებანი მიეცათ რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალე-ბის რედაქციებსა და საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლო-ბის სახელმწიფო კომიტეტს.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა სხვა საკითხებიც. ყველა მათგანზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომა

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა. მოსმენილ იქნა საკითხი წითელი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებაში დეპუტატების, სპეციალისტებისა და აქტივის მონაწილეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ რაიონში სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ხუთწლიანი და ყოველწლიური გეგმების შემუშავებასა და მათი პროექტების საბჭოების სესიებზე განხილვაში, აგრეთვე ამ გეგმების განხორციელებაში გარკვეულ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები, სპეციალისტები და აქტივი, მაგრამ ამ საქმეში მთელი რიგი ნაკლოვანებები და ხარვეზებია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიამ რჩევა მისცა წითელი წყაროს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს თავიანთ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით, „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილებით და მათ შესაბამისად:

გააძლიერონ ორგანიზატორული მუშაობა საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად; მიაღწიონ იმას, რომ მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ შესაბამისი საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები, აგრეთვე სპეციალისტები და აქტივი;

დეპუტატების, შესაბამისი მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მონაწილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობით პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ სასოფლო-სამეურნეო წარ-
მოების გეგმების შესრულების მიმდინარეობა და გამოვლენილ ნაკლოვანება-
თა აღმოფხვრის მიზნით შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონის-
ძიებანი;

მიაღწიონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ეკონო-
მიკური და სოციალური განვითარების გეგმების განუხრელად შესრულებას,
ამ მიზნით შეიმუშაონ სამეურნეო მართვის მექანიზმის გარდაქმნის ღონისძიე-
ბანი; თანამიმდევრულად დანერგონ და განახორციელონ შრომის ორგანიზა-
ციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმები; საჭირო ყურადღება და-
უთმონ ინტენსიური ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვას, სასოფლო-სამეურნეო
კულტურათა მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღ-
ლებას, პროდუქციის დანაკარგების შემცირებას;

მტკიცე კონტროლი დააწესონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეო-
ბებში მეცნიერების მიღწევების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების და-
ნერგვის საქმისადმი;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასოფლო-სამეურნეო წარმოე-
ბაში სრული სამეურნეო ანგარიშის, მის საფუძველზე კოლექტიური, საოჯახო
და ინდივიდუალური იჯარის, აღრიცხვის კონტროლის საჩეკო სისტემის და
მოიჯარე კოლექტივებში შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის დანერგვას;

გააძლიერონ ზრუნვა სოციალურ-კულტურული მომსახურების ქსელის
კომპლექსური განვითარებისათვის, მიაღწიონ, რომ კოლმეურნეობების და
საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებ-
ში ფართოდ აისახოს სოციალური სფეროს საკითხები, ამასთან არ დაუშვან ამ
დანიშნულებით გამოყოფილი თანხების აუთვისებლობა.

რჩევა მიეცა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს:

პერიოდულად შეისწავლოს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბ-
ჭოთა მეურნეობების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლია-
ნი და ყოველწლიური გეგმების შესრულების მიმდინარეობა და დასახოს ღო-
ნისძიებანი მათი დროულად შესასრულებლად; გააუმჯობესოს ეკონომიკური
სამსახურების მუშაობა, მიიღოს ზომები სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში
მომუშავე საინჟინრო დარგის მუშაკების მომზადება-გადამზადებისა და კვა-
ლიფიკაციის ამაღლებისათვის; მეტი ყურადღება მიაქციოს მოსახლეობის სო-
ციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშე-
ნებლობის, რეკონსტრუქცია-შეკეთებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური
ბაზის განმტკიცების საქმეს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1987 წლის 18 აგვის-
ტოს ბრძანებულებით „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებ“ სსრ კავშირის კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე ვადამდე შეწყვეტილად ჩათვალოს თერჯოლის რაიონის № 255 ჭოგნარის საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ალექსანდრე ამირანის ძე **შუშანაშვილის** უფლებამოსილება.